პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 23 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

215 (913) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## მეტი ყურადღება ტერშეკრების გაშუქებას.

### გააძლიერეთ ტერკორთა ქსელი.

ტერშეკრების მსვლელობა ძლიერ სუსტად შუქდება. ჩვენი სამხკორები ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევენ ამ გარემოებას, რაც არა ნორმალურ და დიდ უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს პირველი ტერშეკრებაა და მეტად საჭიროა, რათა ის რაც შეიძლება უფრო ფართედ და შინაარსიანად შუქდებოდეს. მთავარია—სამხედრო და პოლიტ მეცადინეობის მსვლელობის, ცვალებადელთა მუშაობის და ამ მუშაობის მიღწევების აღნიშვნა.

აგრეთვე დიდათ მოიკოჭლებს სამხკორთა მუშაობის ორგანიზაციული მხარეც ტერ ნაწილებში. ჯერ კიდევ ვერ არის შექმნილი ტერკორების სათანადო კადრი. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გაზეთის ტერშეკრებათა შორის ცვალებადელებთან დაკავშირების საქმეში. ისე როგორც ტერშეკრებათა შორის ცვალებადელი მჭიდრო კავშირში იმყოფება თავის ნაწილთან, აუცილებელია ასეთივე მჭიდრო კავშირში იყოს ის თავის სამხედრო გაზეთთან „წითელ არმიელ“-თან. საჭიროა რათა ის არა მარტო მუდმივი მკითხველი იყოს ჩვენი გაზეთის, არამედ მისი მუდმივი თანამშრომელიც, ანუ ტერკორი. ამიტომაც ტერკორების ორგანიზაციას საჭიროა აქედანვე შეუდგენ ჩვენი ნაწილების სამხკორ—ორგანიზატორები. მათი მოვალეობას შეადგენს როგორც კედლის გაზეთის, ისე გაზ. „წითელ არმიელი“-ს თანამშრომლობაში ჩაბან, რაც შეიძლება ცვალებადელთა მეტი რიცხვი. ამ მხრივ ტერშეკრება სავსებით უნდა იქმნას გამოყენებული.

უნდა მივაღწიოთ მას, რომ ტერშეკრების გათავების შემდეგაც ცვალებადელი—ტერკორი სისტემატიურად აწვდიდეს ჩვენს გაზეთს წერილს და მჭიდრო კავშირში იმყოფებოდეს მასთან.

ამ დღეებში ნაწილებს დაეგზავნებათ სათანადო ინსტრუქციები ტერკორთა შორის სამუშაოდ. თანახმად ინსტრუქციისა ჩვენი ტერნაწილების სამხკორ—ორგანიზატორებმა უნდა შესძლონ ტერკორთა ქსელის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება და მით ცვალებადელთა მასის ჩვენს გაზეთთან დაკავშირება შეკრებათა შორის.

ეს მეტად სერიოზული და დიდი მნიშვნელობის ამოცანა არის და ის ყოველ მიზეზ გარეშე სისრულეში უნდა იქმნას მოყვანილი.

უფრო ფართედ, უფრო ღრმად გააშუქეთ ტერშეკრების მსვლელობა!

მოაწყვეთ ტერკორთა ქსელი და მიიზიდეთ ჩვენი გაზეთის და კედლის გაზეთების თანამშრომლობაში ცვალებადელთა ფართე მასა!

აი ორი მთავარი მორიგი გადაუდებელი ამოცანა ჩვენი ტერნაწილებისათვის, რომელიც შესრულებულ უნდა იქმნას ტერშეკრების დასრულებამდე.

## მოსულის საკითხის გარშემო.

გუშინდელი გაზეთებში აღნიშნავდენ ერთა ლიგის უძლურებას და ამის დასამტკიცებლად მოსულის საკითხის მოუგვარებლობაზე მიუთითებდენ. მართლაც ერთა ლიგის ყველა სესიაზე მოსულის საკითხს ცენტრალური ადგილი ეკავა. რაშია საქმე? ვინ არის დაინტერესებული ამ საკითხით და რას წარმოადგენს ის თავის თავად? მოსულის რაიონი მდებარეობს ოსმალეთის სამხრეთ საზღვრებისაკენ. ეს რაიონი ძლიერ მდიდარია ნავთით და ესაა უმთავრესი მიზეზი იმის, რომ მისი მიკუთვნებით ეგრე მოწადინებულია ინგლისი. როდესაც ძველი ოსმალეთის იმპერია იმპერიალისტურ ომის დროს დამარცხდა, მას ჩამოშორდა სამხრეთით მთელი რიგი პროვინციებისა და მათ შორის მოსულის რაიონი გადავიდა ირაკის სამეფოს გავლენის ქვეშ, რომელიც თავის მხრივ ინგლისის პროტექტორატის ქვეშაა. ახალ რესპუბლიკანურ ოსმალეთის წარმოშობისთანავე იწყება დავა ინგლისსა და ოსმალეთს შორის, რომლისათვის ნავთიან მოსულს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც საბჭოთა კავშირისათვის ბაქოს. ლოზანის ხელშეკრულობა ამ საკითხს ღიად სტოვებს, მისი გადაწყვეტა მიანდო დაინტერესებულ მხარეებს ე. ი. ოსმალეთს და ინგლისს, რომელსაც მოსული მხოლოდ ხიშტის უფლების ძალით უკავია.



ტომასი.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლისის და პოლონეთის ანტი-საბჭოთა პროპაგანდა.

„ვარშავსკა გაზეთი“ აღნიშნავს, რომ ინგლისი აწარმოებს გაამწვავებულ ანტი-საბჭოთა პოლიტიკას და ცდილობს დააფრთხოს ევროპა პან-აზიურ მოძრაობით (პან-აზიური—აზიის ხალხთა გაერთიანებული მოძრაობა ევროპის და თეთრ რასის წინააღმდეგ), რომელსაც თითქოს საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობდეს და გაზეთი დასძენს, რომ საფრთხე გადაჭარბებულია.

გაზეთი სწერს, რომ „თვით პოლონეთის ინტერესებს შეიცავს, როდესაც საბჭოთა კავშირის ექსპანსია (სიძლიერე, აქტივობა) მიმართული იქნება აღმოსავლეთისაკენ“.

გაზეთი „კურიერი ჩერვონი“ სწერს, რომ პოლონეთს არ სურს გახდეს ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკის დამცველად და რომ მას (პოლონეთს) შეუძლია თავისი საკუთარი პოლიტიკა აწარმოვოს საბჭოთა კავშირის მიმართ.

## პროტესტი ამხანაგ საკლატვალას ამერიკაში დაუშვებლობის გამო.

ქ. ბატერში (ინგლისი) შესდგა საპროტესტო მიტინგი ამხ. საკლატვალას ამერიკაში დაუშვებლობის გამო. (ამხ. საკლატვალა—ინგლისის პარლამენტის ერთად-ერთი წევრი კომუნისტია, ტომით ინდუსი. ის უნდა გამგზავრებულიყო ამერიკაში საპარლამენტო მოღვაწეთა ყრილობაზე, როგორც ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის წევრი, მაგრამ ამერიკის მთავრობამ მას ნება არ დართო ამერიკაში შესვლის). მიტინგს დაესწრო 2.000 კაცი. ერთ და იმავე დროს ქუჩაზე შესდგა სამი მფრინავი მიტინგი.

ამ საკითხის გარშემო გამართულმა მოლაპარაკებამ კონსტანტინოპოლში და ლონდონში დაგვანახვა, რომ ინგლისის თათბირის გზაზე კი არ იდგა პირიქით ის მოითხოვდა მოსულის ოსმალეთის ნაწილს, ამიტომ საკითხი გადაეცა ერთა ლიგას. უკანასკნელმა მოსულში გაგზავნა სპეციალური კომისია საქმის ადგილზე გამოსარკვევად. კომისიამ მოახსენა ერთა ლიგას, რომ ოსმალეთის პრეტენზიები მოკლებულნი არ არიან იურიდიულ უფლებას და სიმართლეს, მაგრამ თუ კი ინგლისი თავის პროტექტორატს (მფარველობას) ირაკზე (რომელშიც შედის ამჟამად მოსული) განაგრძნობს 20-25 წლით, მაშინ დასაშვებია მოსული რომ ირაკს დარჩესო. ესე იგი, მოსული ამ კომისიის დასკვნით, რასაც ერთა ლიგაც დაადასტურებს, უნდა მიეცეს ინგლისს.

ერთა ლიგის უკანასკნელ ყრილობაზე მოსულის საკითხს უდიდესი ადგილი ეკავა. ორივე მხარეები ცდილობდენ შეექმნათ უმრავლესობა თავის სასარგებლოთ. ცხადია, ეს საკითხი გადაწყდება საფრანგეთის პოზიციით. ის ძლიერ დაინტერესებულია ინგლისის გავლენის შესუსტებით ახლო აღმოსავლეთში. ინგლისსა და საფრანგეთს შორის იმართება ვაჭრობა. თუ ისინი შეთანხმდენ ეს საკითხი ოსმალეთის არა სასარგებლოდ იქნება გადაწყვეტილი, მაგრამ უფრო დასაჯერებელია, რომ ის ვერ იქნება მოგვარებული მათ მიერ, რადგან მათ შორის ისეთი ღრმა წინააღმდეგობანია, რომ მათი დაძლევა გაუჭირდებათ. როგორც არ უნდა წყდებოდეს იქ, ჟენევაში, საკითხი, ოსმალეთი აქ, მოსულის საზღვრებთან ის სხვა გვარად წყვეტს საკითხს. უკანასკნელი დეპეშები იტყობინება, რომ ოსმალეთის რეგულიარული ჯარის ნაწილები უკვე გადავიდენ მოსულის საზღვრებზე. ცხადია, მოსულის შეერთება ოსმალეთისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და მას ის არავის დაუთმობს.

ნ.

## ტომასის დამარცხება.

რკინისგზელთა ფედერაციის მდივანმა, ინგლისის მუშათა კლასის მემარჯვენე ფრთის ბელადმა, ტომასმა უნაყოფოდ შეეცადა გამოსულიყო რკინისგზელთა კავშირის დემონსტრაციაზე 20 სექტემბერს ნიუ-კესტლში.

დემონსტრანტები „წითელ დროშას“ მღეროდენ და ტომასს არ მისცეს ლაპარაკის საშუალება.

## საბჭოთა პური ინგლისის ბაზარზე.

ინგლისის გაზეთები იტყობინებიან, რომ ინგლისმა შეუკვეთა 30.500.000 ფუთი რუსული ხორბალი და ქერი. ამ პურის გადასაზიდავად დაქირავებულია 100 გემი. შეკვეთა მიეცა „ინგლის—საბჭოთა პურის კომპანიას“, რომელშიც შედიან ინგლისის ცენტრალური კოოპერატიული ორგანიზაცია, ცენტროსოიუზი და გემების მეპატრონები.

## 100 ათასი გაფიცული მუშა ქ. ბომბეიში.

ლონდონში მიღებულ ცნობით ქ. ბომბეიში (ინდოეთში) გაფიცულ ფეიქარ მუშათა რიცხვი უდრის 100 ათას კაცს. გაფიცვა მოედვა 37 წარმოებას.

## ჩეხო-სლავიის ქარხნების კომიტეტების ცეკა საბჭოთა კავშირის შესახებ.

შკოდოვის ქარხნების სოც.-დემოკრატ ქარხნკომის წერილის საპასუხოდ, რომელიც თავის წერილში პრინციპიალურად მომხრეა საბჭ. კავშირში დელეგაციის გაგზავნისა იმ შემთხვევაში თუ იქნება თავისუფლად მგზავრობისა და უშიშროების გარანტია—ჩეხო-სლავიის ქარხნკომების ცეკამ მიუთითა მაზე, რომ ასეთი მოთხოვნილებები შეურაცყოფაა დიდი მუშათა სახელმწიფოსი.

საუკეთესო გარანტიას წარმოადგენენ მთელი რიგი მსხვილი დელეგაციებისა, რომლებმაც ინახულეს საბჭ. კავშირი და რომელთაგან არც ერთს არ უჩივლია მგზავრობის თავისუფლების შეზღუდვაზე და იქ ყოფნის საშიშროებაზე.

# საბჭოთა კავშირში

## საპროტესტო დემონსტრაცია მოსკოვში.

20 სექტემბერს სამხრეთ ბესარაბიაში გლეხთა აჯანყების წლის თავზე, მოსკოვში გაიმართა, მოსკოველ მუშების დიდი დემონსტრაცია, 500 ტატარბუნარელი გლეხის სასამართლოში მიცემის გამო.

## ამხ. სკლიანსკის და ხურგინის დასაფლავება.

20 სექტემბერს მოსკოვში დაასაფლავეს ამხ. სკლიანსკისა და ხურგინის ნეშტები სკლიანსკის ურნაში მოთავსებულ იქნა წითელი დროშის ორდენი.

საპატიო ყარაული იცვლებოდა ყოველ 5 წუთში. საპატიო ყარაულებათ იდგნენ ამხ. ტროცკი, ენუქიძე, ხალატოვი, ეგოროვი, პიატაკოვი, იუროვსკი, სმილგა, შუმიაცკი, იულინი, სკლიანსკის ძმა და სხვ.

## ტატარბუნარის პროცესის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგი.

21 სექტემბერს ოდესაში შესდგა საპროტესტო მიტინგი, ტატარბუნარის ბჯანყების მონაწილეებზე სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ. დემონტრაცია-მიტინგში მონაწილეობა მიიღო 15.000 მეტმა კაცმა.

## საზეიმო საღამო მოსკოვ—პეკინ-ტოკიოს გადაფრენაში მონაწილეთათვის.

მოსკოვის დიდ თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა მოსკოვ-პეკინ-ტოკიოს გადაფრენის დასრულების გამო.

ზეიმზე სიტყვებით გამოვიდენ: ამხ. ამხ. კარახანი, უნშლიხტი, შმიდტი და სხვები.

შემდეგ დაიწყო საჩუქრების დარიგება. ექსპედიციის უფროსს შმიდტს, მფრინავებსა და მექანიკოსებს გადაეცათ, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოდან ვერცხლით მოჭედილი რევოლვერები, ავიოქიმიდან-ვერცხლის სათუთუნები. მფრინავ ორლოვსა და მექანიკოს პეტროვს-ოქროს საათები. გადაფრენაში მონაწილე კორესპონდენტებს რევსამხსაბჭომ გადასცათ ოქროს საათები.

დასასრულ კრებამ მიიღო დეპეშების ტექსტი გაზ. „ოსაკა ოსახის" რედაქციის, ჩინეთის ხალხისა და საბჭოთა კონსტრუქტორი მუშებისადმი გადასაგზავნად.

## კერძო საკუთრების უფლების საკითხი კოოპერატიულ ნაგებობაზე

რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭომ დაამუშავა საკითხი კოოპერატიულ ნაგებობათა კერძო საკუთრების უფლების შესახებ.

სახკომსაბჭოს დადგენილებით საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობების მიერ აგებული შენობები ეკუთვნიან აღნიშნულ ამხანაგობებს, როგორც კერძო საკუთრება.

### შეღავათები პირვანდელ კოოპერატიულ ორგანიზაციებს

საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატის ცნობით, მომავალი წლიდან პირვაადელ სოფლის და მუშათა კოოპერატიული ორგანიზაციები განთავისუფლებულნი იქნებიან სავაჭრო გადასახადისაგან, თუ მათი თანხის ბრუნვა არ აღემატება 20.000 მანეთს წელიწადში.

## სოჩი—ადლერის რკინის გზა.

17 სექტემბერს მოხდა სოჩი-ადლერის რკინის გზის ხაზის გახსნა.

# აზერბეიჯანი.

## მოსავალი.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, აზერბეიჯანის საერთო მოსავალი წელს აღწევს 57.007.000 ფუთამდე ომის წინა წლის 58.721.500 ფუთის წინააღმდეგ კარგ მოსავალთან დაკავშირებით ფასები ხორბლეულობაზე კლებულობს.

## ბაქოს მაზუთი საფრანგეთში.

აზნეფტმა ნევტოსინდიკატის მოთხოვნილებით 4.250.000 კილოგრამი მაზუთი გაგზავნა საფრანგეთში. შეკვეთა მაზუთზე ეკუთვნის საფრანგეთის მთავრობას.

# საბჭოთა საქართველო.

## რთველი.

15 სექტემბრიდან კახეთის სახალხო მამულებში დაიწყო რთველი. ყურძნის მოსავალი ძლიერ კარგია.

საბჭოთა მეურნეობებში წელს მოელიან სამოცი ათასი ვედრო ღვინო მოსავალს.

გლეხებს ჯერ არ დაუწყიათ რთველი. უკვე გამოჩნდენ მევახშეები, რომლებიც წინ და წინვე სცდილობენ შეისყიდონ ღვინოები.

## შეტევითი ბრძოლა.

ომში გამარჯვების მოპოვება შეიძლება მხოლოდ ბრძოლით. თვითეული მებრძოლი მხარე ცდილობს ჩქარა შეხვდეს მოწინააღმდეგეს, რომ დაამარცხოს ის. ამისათვის კი შეტევა, ე. ი. წინსვლა მტრისაკენ, ერთად ერთი საშუალებაა. მაგრამ ცხადია, ომის დროს იქნება ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ იძულებული ვართ შევიცადოთ, რომ ბრძოლისათვის შესაფერი პირობები შეიქნან, ე. ი. როდესაც ჩვენ გვიწევს მტრის მოგერიება. მაგრამ ეს თითქოს მზადებაა შეტევისათვის.

თავის თავად ცხადია, რომ მოპირდაპირე ეცდება ყოველგვარ შესაძლებლობით ხელი შეუშალოს ჩვენს მოძრაობას. მაშინ ჩვენი ამოცანა იქნება ცეცხლის და მოძრაობის მოხერხებულად გამოყენება. და უკეთ რომ ვსთქვათ, ამის გადაწყვეტაში მდებარეობს შეტევა.

თანამედროვე არტილერიის ცეცხლი თავისი სიშორით (არტილერია მიზანში სცემს 10—12 და კიდევ მეტ კილომეტრზე) მოწინააღმდეგესთან შეხვედრამდე აიძულებს ნაწილებს მიიღონ ისეთი წყობა, რომლის დროს ნაწილები ნაკლებ დანაკლისს ნახავენ. მოძრაობა მარტო სალაშქრო სვეტებათ აქ არ გამოდგება. საერთოდ, ლეგიონები ნაწილდება საათასეულო სვეტებათ („ათასეულებად"), საათასეულო კი საასეულო სვეტებათ („ასეულებათ"). უმეტესად მოძრაობა სწარმოებს გზებს გარეშე.

ამ პერიოდს დაახლოვებას ეძახიან. აქ, მაშასადამე, მთავარი მიზანია, რაც შეიძლება, ადრე და ნაკლებ დანაკლისით (რისთვისაც აუცილებელი საჭიროა ზედმიწევნით შეეგუოს მდებარეობას) მიაღწიოს მოწინააღმდეგემდე ისეთ მანძილზე, რომ ქვეითა ჯარს საშუალება ჰქონდეს თავისი იარაღი აამოქმედოს.

აქედან უკვე იწყება ნამდვილი შეტევის პერიოდი. არტილერიის ცეცხლის საფარით, მდებარეობასთან შეგუებით, მარდათ და ფარულად ერთ ადგილიდან მეორეზე გადარბენით, ჩვენი ქვეითი ჯარი იწევს წინ მტკიცე გადაწყვეტილებით შეხვდეს მტერს საიერიშო დისტანციაზე. ამ პერიოდში ცეცხლი და მოძრაობა ერთი მეორეში ირევა. უმთავრესი საზრუნავი ყოველი ნაწილისა—დაუახლოვდეს რაც შეიძლება ახლო მოწინააღმდეგეს (150—200 მეტრზე) რაც შეიძლება ნაკლებ დანაკლისით და მეტ ძალთა შენახვით.

აქ მცირე შეჩერება მოძრაობაში ძლიერ ცუდათ იმოქმედებს შეტევაზე გადასულ მეომრებზე, რადგან ნაწილი მტრის გამანადგურებელ ცეცხლის ქვეშ დიდი ხანი იმყოფება და მაშასადამე მეტ მსხვერპლსაც ნახავს.

ურყევი გადაწყვეტილება ეძგეროს მტერს ხიშტით და რწმენა თავის სიძლიერეში აიძულებს მტერს გამოვიდეს თავშეკავებიდან. ის ნერვიულობას იჩენს და მისი სროლა ნაკლებად აღწევს მიზანს.

იქედან, როდესაც შესაძლებლობა იქნება ხიშტებზე გადასვლის, იწყება იერიშის პერიოდი. იერიშის მთავარი მიზანია მოსპოს მტრის ცოცხალი ძალები და ხელთ იგდოს მისი ბრძოლის საშუალებები.

პრ.

## შენიღბვა ადგილმდებარეობასთან შეფარდებით.

ბრძოლის დროს მსროლელმა უნდა დაიფაროს თავი ისე რომ ის, მტრისათვის შეუმჩნეველი იყოს. ამ მიზნით შეიძლება ჩამოფარებულ იქნეს მწვანე ბალახი, ბუჩქები, ეკლის ბუჩქები, ჩირგვები, ქვები, ბოსტანი, ბაღი და სხვა, სადაც მეომარს შეუძლია დაიფაროს თავი. ასეთ შენიღბვას უწოდებენ—შენიღბვას ადგილ-მდებარეობასთან შეფარდებით..

მაგრამ, როგორ შეუძლია მეომარს გამოიყენოს ეს „ადგილ-მდებარეობა", შეტევის დროს? როგორ და რანაირათ შეუძლია ადგილ-მდებარეობას დაიფაროს მეომარი მტრის მხედველობისაგან?.. ასეთ შემთხვევებში ბევრი რამაა დამოკიდებული თვით მეომრისაგან. ომის დროს, უმნიშვნელო ბალახ-ბულახსაც კი შეუძლია დაიფაროს იგი მტრისაგან. ოდნავ ამოღრმავებულ ადგილში ჩაწოლილი კაცი ძნელი შესამჩნევია თვალისათვის. ომის პრაქტიკამ იცის შემთხვევები, რომ უმნიშვნელო საფარს გადაურჩენია კაცი სიკვდილისაგან.

საფარით სარგებლობის დროს ყოველ მსროლელს უნდა ახსოვდეს, რომ მან არ უნდა შესწყვიტოს მტრისაკენ სროლა. მაგრამ საკითხი იმაშია თუ როგორ და რანაირათ უნდა ისარგებლოს საფარით და როგორი მდგომარეობა უფრო ხელსაყრელია უშიშროების თვალსაზრისით. ასეთი საკითხების გადაწყვეტა წინასწარ შეუძლებელია. ეს საკითხი თვით მეომარმა უნდა გადასწყვიტოს მაშინ, როდესაც ის ადგილ-მდებარეობას გაეცნობა. მაგალითისათვის ავიღოთ საფარათ ოდნავი გორაკი, რომელზედაც აქედან მიწოლილია მსროლელი. აქ შეიძლება იყოს ორი შემთხვევა: ერთი, როდესაც სროლა სწარმოებს გორაკის წვერზე გადადებული თოფიდან და მეორე, როდესაც მეომარი გაწვება გორაკის მარჯვენა ან მარცხენა დაქანებისაკენ და ისე აჩენს ცეცხლს.

რომელ შემთხვევაში უფრო შეუმჩნეველია მსროლელი?—უსათუოდ მეორე შემთხვევაში. ამიტომ რომ პირველ შემთხვევაში სროლის დროს მებრძოლის ტანი, უნებლიეთ აშორდება გორაკის სიმაღლეს და იგი ადვილათ შესამჩნევი გახდება მტრის თვალისათვის. მეორე შემთხვევაში კი, საფარიც გამოყენებული იქნება და სროლის საშუალებაც ექნება.

ი. ბარ.

## „პირი სოფლისაკენ" ქართული შეერთებული სამხედრო მეთაურთა სკოლის სამხედრო—სამეცნიერო წრის მუშაობის პრაქტიკაში.

(დასასრული)

წინასწარ გლეხებს მიეცათ ელემენტარული ცნობები სროლის თეორიიდან.

ისინი აგრეთვე გაეცვნენ ქიმიის მნიშვნელობას მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის მომავალ ომების დროს.

საერთოდ მიეცათ ახსნა-განმარტება ყველა მათ მიერ დასმულ კითხვებზე.

სროლის პირობები შემდეგი იყო:

მანძილი 100 ფეხ. ნაბიჯი, მიზანი მკერდის, დროს განუსაზღვრელი, ვაზნების რიცხვი 5, მსროლელის მდგომარეობა წოლილა საყრდნობით, წვება ყოველ გასროლის შემდეგ.

სამი ვაზნის მორტყმა აკმაყოფილებს პირობებს.

მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 80 გლეხმა. მათ შორის საუკეთესოთ შეასრულა 20 კაცმა, შეასრულეს 48 და ვერ შეასრულა 12 კაცმა.

საზოგადოთ, ამ დარგში მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველ ჯარის ერთეულის სამხედრო-სამეცნიერო წრე ვალდებულია ამ დაქანებით იმუშაოს, მეტადრე საკარვოთ ყოფნის დროს- ეს იქნება ერთი მხრივ საუკეთესო კავშირი გლეხებთან და მეორეს მხრივ ეს იქნება მშრომელი ხალხის გათვითცნობიერება სამხედრო ხელოვნებაში.

ასეთი მუშაობა, სოფლად მუშაობის ერთი სახეობათაგანია.

წრე სხვა დარგშიაც არ ჩამორჩენილა ამ მუშაობას. კურსანტებთან დამუშავებული იყო ისეთი კითხვები, რომლებიც თვით კურსანტების მიერ იყო წამოყენებული; დამუშავებული იყო ორი საერთო გეგმა „ფიზკულტურა წითელ ჯარში" და „ქიმია ჩვენსა და დახავლეთ ევროპის ჯარში".

ლენინის კუთხეებში ეწყობა სამხედრო თამაშნი.

ახლა ცოტა მომავალი პერსპექტივას შესახებ მომავალ საზამთრო პერიოდისათვის.

თანახმად დებულებისა სამოსწავლო წლის თავზე კვლავ გადაირჩევა წრის პრეზიდიუმი და, რასაკვირველია, მომავალი პრეზიდიუმი შეიმუშავებს უფრო ვრცელ გეგმას. ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ რომ ზამთრის პერიოდში მუშაობა უნდა სწარმოებდეს მუშაობა მასსებისაკენ (კურსანტებზე) დაქანებით.

ამ მუშაობის მიზანი იქნება გამაგრება და განმტკიცება იმისა რაც მას მიუღია სწავლაში.

ამასთან ჩვენის აზრით მეცადინეობა დაკავშირებული უნდა იქმნას სწავლის საზამთრო გეგმასთან.

ეს მოგვცემს იმას რომ დაინტერესებული კურსანტი მიიღებს დამაკმაყოფილებელ პასუხს ისეთ კითხვებზე, რომელიც სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ იქნება სათანადოთ გაშუქებული სკოლაში მეცადინეობის დროს.

შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს სროლის სპორტს, რისთვისაც საჭიროა კარგი შაბების მოწყობა სროლის საქმის მოყვარულთა.

თუ წარსულში ეს შეუძლებელი იყო, ახლა მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უფ-პოლიტშემადგენლობის მუშაობას სამხედრო სამეცნიერო წრეში.

მ. გო—ძე.

# ტერიტორიალურ ნაწილებში

## ჩვენთანაც მოვიდნენ კურსანტები

4 ხე ტერლეგიონი.

რამოდენიმე დღეა მას შემდეგ, რაც ჩვენს ლეგიონს ესტუმრენ ქართულ სამხედრო სკოლის კურსანტები; პრაქტიკული სამხედრო ცოდნის შესაძენად. ეს ამხანაგები დანაწილებული იქნენ ასეულებში და იმ თავითვე შეუდგენ ენერგიულ მუშაობას. ისინი ყოველმხრივად სცდილობენ, რომ რაც შეიძლება მისი ცოდნა გადასცენ ტერ-არმიელებს და ხშირად ებაასებიან მათ თუ სოფელში დაბრუნების შემდეგ როგორ უნდა აწარმოონ კულტურული და სხვა ხასიათის მუშაობა.

8 სექტემბერს მოწვეული იქნა კრება, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო ასეულებში ლენკუთხეების დაარსების საკითხი, მათში მუშაობის წარმოება: ხმამაღალი კითხვის, კითხვა საუბრის საღამოების, და სხვათა მოწყობა.

კურსანტები დიდი სიხარულით შეეგებენ ამ საკითხს და თითეული მათგანი სიამოვნებით ღებულობდენ სხვა და სხვა დავალებებს. კრების გათავების შემდეგ დანაწილებული იქნა სხვა და სხვა დავალებები. არჩეული იქნა სამხედრო კორესპონდენტი. ამას გარდა არჩეული იქნა აგრეთვე კითხვა პასუხის ჩამტარებელი კომისია, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, კომბინიური საღამოს მომწყობი კომისია და სხვა ყველა ამათში ამხ. კურსანტები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. ყველა ამ სამუშაოს უხელმძღვანელებს სამი კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, რომელიც შეადგენს სათანადო ცხრილს.

სამხკორი მ. ჩ—ძე.

## სკოლის გარეშე განათლების კურსები.

მე-6 ქ. მსრ. ტერ-ლეგიონი.

ივლისის 1-ლ რიცხვებიდან ჩვენს ლეგიონში დაარსდა სკოლის გარეშე განათლების კურსები.

მსმენელთა რიცხვი 1-ლ ხანებში 40-მდე იყო, ამათში 2 მხრივ ოდნავ გულ-გრილობას არ ჰქონია ადგილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე ამხანაგებს, რომლებიც დააკლდენ მეცადინეობას სამჯერ, რის გამო ისინი გამორიცხული იქმნენ და ბრძანებით გამოეცხადათ განკიცხვა და საყვედური.

თავიდანვე გავეცანით საკლუბო მუშაობას.

მეცადინეობა ცოტათი შეფერხდა ლეგიონის საბანაკოდ გასვლის დროს.

შეფერხების მთავარი მიზეზი იყო ასეულის რიგ-რიგობით წასვლა საბანაკოთ, რომელმაც დაქსაქსა მსმენელები.

ბანაკში კი გადვიმეორეთ განვლილი, რადგან შამოგვემატენ ამხანაგები მესამე(?)ით ასეულიდან.

ამ უკანასკნელთათვის გარდა საერთო საათებისა დანიშნულია კვირაში სამჯერ სპეციალური საათები პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

ამჟამად მეცადინეობა ნორმალურია, თუმცა დრო ძლიერ განსაზღვრული გვაქვს.

იმედი გვაქვს, რომ ამ მოკლე ხანში შევისწავლით ყველა იმას, რაც გათვალისწინებული აქვს პროგრამით გამგეობას და რაც დღემდე არ ახსნილა.

ჩამორჩენილ ამხანაგებმა დიდი ენერგია უნდა გამოიჩინონ, თორემ გამოცდებს, როგორც ამბობენ დაესწრება პოლიტგანის წარმომადგენელიც.

მსმენელი ტ.-ა. ხასო.

## შამოგვწირეს ლიტერატურა

6-ხე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკამ ამ რამოდენიმე დღის წინად, აღერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცეკასაგან მიიღო საჩუქრად ლიტერატურა თათრულ ენაზე. აქ არიან როგორც პოლიტიკური ისე სხვა ხასიათის წიგნებიც, სულ 120 წიგნამდე. ამ საჩუქარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლეგიონის ტერარმიელების შორის და განსაკუთრებით მუსლიმან არმიელებში.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა დიდ მადლობას უძღვნის აღნიშნულ ცეკას და იმედოვნებს, რომ ის არც შემდეგში მოაკლებს ლეგიონს თავის მზრუნველობას თათრულ ლიტერატურის მიწოდებაში, რაც საშვალებას მოგვცემს ხელი შეუწყოთ მუსლიმან არმიელების განვითარების საქმეს მშობლიურ ენაზე.

მინდობილობით კვახაძე.

## გაუფრთხილდით წიგნებს.

მე-5-თე ტერ-ლეგიონი.

მეხუთე ლეგიონში გვაქვს ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია როგორც ქართული ისე რუსული წიგნებითაც. წიგნების გაცემას ასეულებზე ვაწარმოებთ უმეტეს შემთხვევაში კოლექტიურ აბონემენტებით.

ყოველ ერთ თვეში ან ორ კვირაში მოაქვთ ასეულის ბიბლიოთეკარებს წიგნები და სცვლიან.

სამწუხაროდ არა სასურველ მოვლენებს აქვს ადგილი ამ დროს. ახლადახალი წიგნები ერთი თვის ან ორი კვირის შემდეგ მოაქვთ სრულიად დახეული, დაგლეჯილი და დასვრილი.

ამ არა სასურველ და სამწუხარო მოვლენას უნდა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ, რომ გადავარჩინოთ წიგნები (სახაზინო ქონება) გაფუჭებას და გაფლანგვას.

ყველა წითელ არმიელმა უნდა შეიგნოს, რომ წიგნით უნდა ისარგებლოს რამოდენიმე ათას ამხანაგმა და თუ ჩვენ წიგნს უხეშად მოვეპყრობით, გავაფუჭებთ და დავხევთ, ამით ჩვენ საშვალებას უსპობთ ამხანაგებს მათაც მოიხმარონ ეს წიგნები.

წიგნი არის სახაზინო ქონება და ვინც სახაზინო ქონებას არ გაუფრთხილდება ის მტერია მუშურ-გლეხური მთავრობის.

ამხანაგებო გაუფრთხილდით წიგნებს.

სამხკორი ო—26.

## მიაქციეთ ყურადღება.

4-ე ლეგიონის შტაბის უფროსის საყურადღებოთ.

ლეგიონის მეთაურთა სატუსაღოში და საყარაულო შენობაში არ არის სინათლე, რომელიც უხერხულ მდვომარეობაში აყენებს, როგორც დაპატიმრებულ მეთაურებს ისე ყარაულში მყოფ წით.-არმიელებს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს და წესიერად იქნას ის მოწყობილი.

ნუ თუ ამდენად გაუჭირდა ლეგიონს ერთი სანათურიც აქ დაჰკიდოს?

დაუჯერებელია. აქ მხოლოდ დაუდევრობას აქვს ადგილი და მეტი არაფერი.

გამოასწორეთ ეს ნაკლი.

სამხკორი ხან—მანი.

## საღამო მეთაურთა სკოლაში.

ოთხ-თვეზე მეტია რაც მეთაურთა სკოლის საზამთრო შენობის კლუბში არაფერი გამართულა. ამის მიზეზი ბანაკობა და შვებულებები იყო.

ეხლა კლუბი უკვე ამუშავდა. 21 სექტემბერს აქ გაიმართა პირველი საღამო-წარმოდგენა. სკოლის უმწყობრო და სამწყობრო წ. არმ. ასეულების ძალებით.

საღამო სრულ 8 საათზე დაიწყო. შესავალში ერთ-ერთმა ამხანაგმა აღნიშნა საკლუბო მუშაობის მნიშვნელობა და ამ მუშაობაში სკოლის თანამშრომელთა და წითელ არმიელთა დაინტერესების აუცილებლობა.

პირველად დაიდგა—ალ. გორელის ორ მოქმედ. პიესა „დეზერტირი", რომელიც „წითელი ყაზარმის" და „მომკელი გლეხების" მასიურმა სცენებმა საკმაოდ გაალამაზა...

ამ პიესის შემდეგ დაიდგა „ოთხი იმერელი" ვოდევილი.

დასასრულ გაიმართა ცეკვათამაში და წარმოითქვა რევოლიუციონური შინაარსის ლექსები.

უკანასკნელ განყოფილებაში ლექსი წაიკითხა ერთ-ერთმა ამხანაგმა მუშამ, რომელიც სტუმრად იყო მოსული. ლექსი 26 კომუნარისადმი იყო მიძღვნილი და მეტად ლამაზიც გამოდგა.

საღამოს დაესწრენ კურსანტები, წითელ არმიელები და გარეშე სტუმრებიც.

საღამოზე უკრავდა სკოლის სამხედრო ორკესტრი და სამწყობრო წ. არმ. გუნდის სკრიპკა და დოლი.

სოსო ვანინიშვილი.

# შვებულთა გაცილება

## როგორ ვისტუმრეთ შვებულებაში მიმავალ არმიელებს.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

21 სექტემბერს, რუსული მძიმე დივიზიონის კლუბში შესდგა ლეგიონის მთელი შემადგენლობის საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ ჩვენთან დაკავშირებული სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

სხდომა გახსნა ამხ. დემეტრაშვილმა, რომელსაც მქუხარე ტაშის ცემით შეეგებენ. მრავალი ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოვიდენ მისალმებებით, მაგრამ აღსანიშნავი იყო გრეხილ ავეჯეულობის ქარხნიდან მუშა ქალის მისალმება.

ხანში შესული ქალი მოკლე და მკვეთრი სიტყვით მიესალმა შვებულებაში მიმავალთ. ის მიუთითებს კრებას თუ როგორი გავლენა შეუძლია მოახდინოს დედამ შვილზე. მოხუცმა დედამ მოუწოდა შვებულებს, თავიანთი მუშაობა დაიწყონ საკუთარი ოჯახიდან და ამბობს—პირველად საზოგადოებრივ მაგალითის მაჩვენებლად სამუშაოზე გამოიყვანეთ თქვენი ოჯახის წევრები: დედები, დები და ძმებიო.—

მოხუცის სიტყვა მქუხარე ტაშმა დაჰფარა.

შემდეგ ერთმანეთს ესალმებოდენ შვებულებაში მიმავალი და ყაზარმაში დარჩენილი ამხანაგები, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდენ მეთაურების და პოლიტმომუშავეების ენერგიულ მუშაობას მათი აღზრდის საქმეში.

ლეგიონი პირველ რიგში უშვებს 115 კაცს. მათი სახელით ბოლოს გამოვიდა ერთი შვებული, რომელმაც ფიცი დასდო და წაიკითხა მათი რეზოლიუცია, სადაც აღნიშნული იყო მათი მუშაობა ნაწილში და სოფლად მუშაობის ვალდებულებანი. რეზოლიუციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე მოქალაქეებზედაც.

საზეიმო სხდომის დახურვის წინ შვებული ამხანაგები დასაჩუქრებული იქნენ ბროშურებით და წიგნებით. რის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა.

სამხკორი ტ. ხეველი.

## სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

მოვეწყეთ ახალ შენობაში და სექტემბრის 21-დან უკვე შეუდექით სწავლას. საკლასო ოთახები კარგი გვაქვს, მხოლოდ კარგი იქნება, რომ მაგიდებს გამოგვიცვლიდენ, რადგან მათზე წერა მოზრდილთათვის მოუხერხებელია. საჭიროა აგრეთვე ლექტორებისთვის კათედრების და სკამების შეძენა, რომელნიც არ მოგვეპოვება სრულიად.

კურსანტებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი სწავლას, ყველანი დაინტერესებულნი არიან ცოდნის შეძენით. გაკვეთილებს მუყაითად ამზადებენ, მაგრამ ხელს უშლით სახელმძღვანელოების უქონლობა. ზოგიერთ საგნებში სრულიად არ არის სახელმძღვანელო წიგნები, ლექტორი უხსნის გაკვეთილს და შემდეგ აწერინებს კონსპექტს, ეს დიდ დროსართმევს, როგორც ლექტორს, ისე თვით კურსანტებს. სამოსწავლო ნაწილმა უნდა გამონახოს რაიმე საშვალება, რომ ეს არანორმალური მოვლენა თავიდან იქნეს აცილებული.

სამნეო დარგშიც ბევრი რამეა გასაკეთებელი. საჭიროა სურსათ-სანოვაგის საწყობი, ზოგიერთ ოთახების ფანჯრებში მინებია ჩასასმელი, სამზარეულო, სასადილო და ბევრი კიდევ სხვა ოთახები თხოულობენ შეკეთებას, არც ელექტრონის არმატურა არის რიგზე. ყველა ეს მოითხოვს აუარებელ ხარჯს. სკოლას არავითარი თანხა არა აქვს, მომარაგება კი იძლევა უმნიშვნელო თანხებს.

კმაყოფის მხრივ კურსანტები კარგ პირობებში არიან. სადილი გაუმჯობესებულია და კარგი ხარისხის.

სამწყობრო დარგი ჯერ კიდევ უმოქმედოთ არის სავარჯიშო მოედნის უქონლობის გამო. ამ ჟამად მუშავდება სამეცადინო გეგმა საზამთრო პერიოდისთვის. სამწყობრო დარგს აკლია სროლის საქმისთვის სხვა და სხვა ხელსაწყოები, რომელიც შეძენილი უნდა იქნას სასწრაფოდ.

საჭიროა აგრეთვე სპორტის ხელმძღვანელი, თუმც ამისთვის განსაკუთრებული შტატი სკოლას არა აქვს, მაგრამ მისი გამოძებნა ყოველთვის შეიძლება.

ი—ა.

## ბატარეიელები ზაგესში.

პირვ. ლეგ. ბატარეია.

16 სექტემბერს ჩვენი ლეგიონის ბატარეია, ახალი მწყობრის თავის ხელმძღვანელობით მხიარული სიმღერით გაემგზავრა ავჭალის ჰიდრო ელსადგურის დასათვალიერებლად.

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ზაგესმა. რამოდენა სამუშაო, რა დიდ მომავალს უმზადებს ის ქართველ მშრომელ ხალხს. არმიელები მოდიოდენ განურჩევლად. პირველად დავათვალიერეთ პირველი სამუშაო, სადაც კეთდება სადგური, მთავარი კაშხალი და ხელოვნურად ამოშენებულ ტინობის ვიწრო კედლებს შორის გიჟივით მიმდინარე მტკვარი. აქვე მთავარი არხი და მის სათავეში გაცხოველებული მუშაობა. კლდეს სტეხენ სათავეში და სალადუმო სამზადისისათვის წარმოებული მუშაობა დიდ ხმაურობას ჰქმნის. ათასი მუშა ხელი ტრიალებს. ეგერ მოაშორებენ ლიანდაგზე სატინობოთ დამზადებულ მასალას და „ხაბარდას" ძახილით თვალის დახამხამებამდე სცლიან პაწია რონოდას.

ახსნა-განმარტებას გვაძლევდენ ტეხნიკოსები.

არა ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, თითონ სადგურის ასაგებათ წარმოებულმა მუშაობამ წყლის დასაცემში.

ერთი სიტყვით ზაგესი მთელი ქალაქია, მოუსვენარი, გიჟი. ძნელად თუ რომელიმეს დაავიწყდება ჩვენში იქ მიღებული შთაბეჭდილება—ასე გაიძახოდენ მატარებლის რონოდში მოთავსებული არმიელები, რომლებიც მხიარულად მიეშურებოდენ ყაზარმისაკენ.

სამხკორი ფშნის პირელი.

# პარტიული ცხოვრება

## ჩვენი პარტ-საქმიანობიდან.

### მე-6 ლეგ. № 4 უჯრედი.

ჩვენი ლეგიონის მე-3 ასეულის 4 კომუჯრედში საერთო ტერ-შეკრების შემდეგ მუშაობა თანდათან უმჯობესდება, რადგან ამ გამოწვევამ მოგვცა პარტ-წევრების და კანდიდატების საერთო რიცხვი. უჯრედის კრებები იმართება სისტემატიურად კვირაში ერთხელ, როგორც დახურული, ისე უმთავრესათ ღია, ლენ-ახკომკავშირის წევრებთან და უპარტიო წითელ-არმიელებთან ერთად.

გასულ პარასკევს შესდგა უჯრედის მორიგი კრება, ლენ-ახკომკავშირის წევრებთან ერთად. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:

1) პარტიული დისციპლინის შესახებ, 2) მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და 3) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ ილაპარაკა ამხ. ლომაძემ, რომელმაც პარტიულ დისციპლინასთან დაკავშირებით აღნიშნა თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს თვითეული უჯრედის წევრმა, ნაწილში სამხედრო დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

საკითხის დამთავრების შემდეგ კრების მიერ დადგენილ იქნა—თვითეული უჯრედის წევრმა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა, როგორც პარტ-დისციპლინის, ისე სამხედრო დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარშემო გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნულ იქნა თუ რისთვის არის გადასახადი შემოღებული, როგორი სახით ახდევინებდენ უწინ გლეხობას მას სანამდი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადს შემოიღებდენ და რამდენამდე იქნა შემცირებული 1925 წლისათვის.

მოხსენებისა და შეკითხვების ამოწურვის შემდეგ გამოტანილ იქმა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ცვალებადელები თავიანთ სოფლებში დაბრუნების შემდეგ მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ სოფლის გლეხობაზე შეწერილი გადასახადის მთელი ასი პროცენტით შეკრებაში.

პარტკორი ნ. ანი.

### პირვ. ლეგ. 4-ახეულის უჯრედი.

15 სექტემბერს შესდგა 4-და 5-თე ასეულების უჯრედების გაერთიანებული კრება რომელსაც გარდა პარტიული ამხანაგებისა დაესწრენ უპარტიო წითელარმიელებიც. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების შესახებ და 2) მიმდინარე კითხვები.

უვადო შვებულებაში მიმავალთა შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. იმნაიშვილი. ის დაწვრილებით შეეხო სოფლად მიმავალ ამხანაგების მოვალეობას თუ რა უნდა აკეთონ, რას მიაქციონ უმთავრესი ყურადღება და როგორ უნდა მიუდგენ სოფლად სხვა და სხვა საკითხების გაშუქების საქმეს.

ამხანაგმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც თუ როგორ უნდა მოეკიდონ ქოხ-სამკითხველოებსა და მათი დაარსების საქმეს.

ბოლოს მოუწოდა მჭიდრო კავშირი დაიჭირონ თავის ნაწილებთან და აცნობონ მათ მათი მუშაობის შედეგები.

ასეთივე სიტყვებით მიმართა სოფლად მიმავალ სამხკორებსაც,

რომლებსაც ევალებათ ფხიზლად ადევნონ თვალყური სოფლის ცხოვრებას, მის ავ კარგს, სხვა და სხვა ორგანიზაციეების, როგორც სამოქალაქოს, ისე სამხედროების მოქმედებას და გააშუქონ პრესაში მათი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. კრება ერთხმად მიესალმა ამხ სიტყვას და აღუთქვა, რომ მიმავალები მთელ თავის ცოდნას გადასცემენ სოფლის გლეხებს.

სამხკორი ლითანიშვილი.

# ნაწილების წერილებიდან.

### გადაგვიდუღეთ წყალი.

პირველ საკავშირო ასეულში არ გვღირსებია გადადუღებული წყალი. ზოგიერთ არმიელებს უმი წყალი ძლიერ სწყენთ, მაგრამ მაინც არავინ აქცევს ყურადღებას. ერთხანს ვითომ დაიწყეს წყლის მოდუღება, მაგრამ ჩქარა მოეწყინათ. ↑ას შემდეგ ისევ უმ წყალს ვსვამთ. მიიღეთ საჭირო ზომები ვისაც ეს შეგეხებათ და მოგვეცით გადადუღებული წყალი.

სამხკორი ნინუაკუთხელი.

### მოგვეცით განათება.

#### სამხედრო პოლიტსკოლა.

ჩვენს სკოლაში დიდი უსინათლობაა. არა გვაქვს სინათლე სასკოლო ოთახებში. გაკვეთილებს ველარ ვამზადებთ. არც სასადილოშია განათება, რის გამო ხშირად სიბნელეში გვიხდება ვახშმის ჭამა. არც კლუბში და არც ბიბლიოთეკაში. შენობა თითქმის დაბნელებულია. საჭიროა სამნეო ნაწილის უფროსმა დროზე მიიღოს ზომები და გაგვანთავისუფლოს სიბნელისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ჩვენთან ღამით ყოველგვარი მუშაობა,

სამხკორი აბალოსი.

### თამაშმა გაიტაცა.

#### მეხუთე ლეგიონი.

ლეგიონის ყველა .ასეულებში გვაქვს სხვა და სხვა გასართობები, როგორიცაა: დომინო, დამკა და სხვა. სამწუხაროდ ლეგიონის საკომენდანტო ოცეულის არმიელები ძლიერ გაიტაცა გასართობებმა და მთელ თავისუფალ დროს მას ანდომებენ. გაზეთი და წიგნები სულ მიავიწყდათ. საჭიროა ეს გასართობები ჩაიბაროს მორიგემ ან სხვა ვინმემ, და ისე გაანაწილოს მიცემის დრო, რომ არმიელებმა გაზეთებიც წაიკითხონ, თორემ მეტი მოუვათ.

სამხკორი ო—26.

### ვიხრჩვებით ჩაკეტილ პალატებში.

#### ქუთ. სამხედრო ჰოსპიტალი.

ჰოსპიტალის ადმინისტრაცია, საღამოს შვიდი საათის შემდეგ ავადმყოფ არმიელებს გვიკრძალავენ ეზოში სეირნობას. შეგვრეკენ პალატებში დაგვიკეტავენ ფანჯრებს. პალატებში ამის გამო ჰაერი ძლიერ მძიმდება და სულს გვიხუთავს. წყლიდან ამოყვანილი თევზივით, ხახა დაღებული ვსუნთქავთ. მეტის-მეტად ვწვალობთ. ექიმს ვსთხოვეთ ფანჯრების გაღება, მაგრამ გვითხრა „პრიკაზია“ ასეთი არ შეიძლება. ნუ თუ არ შეიძლება ფანჯრების გაღების შესახებაც გამოიყენოს ეს „პრიკაზი“ და ერთავად არ გვახრჩობდენ ფანჯრებ ჩაკეტილ პალატებში?

ავადმყ. წ. არ. ფარ-ბელი.

# ამბები სოფლებიდან

### აღმშენებლობა კულტურის ფრონტზე.

სოფ. ხეთის (სამეგრელოშია )აღრიცხვა და დაიწყო მუშაობა. გლეხკომის ინიციატივით მოწვეულმა ხეთის გლეხების ყრილობამ დაადგინა აავოს ადგილობრივ, რკინისგზის ლიანდაგის მახლობლათ, ამხ. ს. გეგეჭკორის სახელობის სახალხო სახლი.

სახალხო სახლში განზრახულია მოეწყოს კლუბი, თეატრი, ბიბლიოთეკა სამკითხველო და სოფლის სხვა კულტურული დაწესებულებანი.

ყრილობამ აირჩია საალმშენებლო კომისია, რომელმაც შეიმუშავა საამისოთ ხარჯთაღრიცხვა და დაიწყო მუშაობა. გლეხებმა დაადგინეს თვითონ გაიღონ 7.200 მანეთი. მაგრამ აღნიშნული თანხა არა საკმარისი, რომ აშენდეს სახალხო სახლი ამიტომ საალმშენებლო კომისია მიმართავს ყველა გულშემატკივარს, განსაკუთრებით კი ქალაქში ჩამოსულ ხეთელებს, მოაგროვონ შემოწირულებები და ხელი შეუწყონ, გლეხების მიერ დაწყებული დიდი კულტურული საქმის დაგვირგვინებას.

დ.

# ახალი ამბები.

აგიტ-პუნქტები. სად. ტფილისა და სად. ნავთლუღში უკვე დაიწყო შვებულ წითელარმიელთა გამცილებელმა სააგიტაციო პუნქტებმა მოქმედება.

— **ტრაქტორების შეძენა.** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა საზღვარგარედ შეიძინა 30 ტრაქტორი. ტრაქტორები დარიგებულ იქნება ადგილმდებარეობისათვის შესაფერ რაიონებში.

— **მუშების გამოგონებათა მუზეუმი.** რკ. გზის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციასთან ეწყობა მუშების გამოგონებათა მუზეუმი.

— **სოფლის მეურნეობის** დასახმარებლათ მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა 400 ათასი მანეთის რაოდენობით დაამტკიცა ა. კ. ფინ. სახ. კომისარიატმა.

— მეფუტკრეობის კურსები. მეფუტკრეობის ბიურომ წელს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მოაწყო მეფუტკრეობის 6 მოკლე ვადიანი კურსები.

— ტრაქტორზე მომუშავეთა კურსები. 15 ოქტომბერს ტფილისში იხსნება ტრაქტორებზე მომუშავეთა მოსამზადებელი 5 თვიანი კურსები.

— სისუფთავის დასაცავათ. ტფილისის აღმასკომმა მოახდინა სასადილოების, საყასპოების, სასტუმროების დათვალიერება სისუფთავის დაცვის მიზნით.

— ჯანსახკომმა დაადგინა გახსნას უნცროს საექიმო შემადგენლობისათვის გასამეორებელი კურსები.

— აგრო-პროპაგანდა. მიწ.-მოქ. კომისარიატის სას.-სამეურნეო განყოფილებამ გამოსცა პლაკატები, აგრო-პროპაგანდის შესახებ.

— მეცადინეობა უნივერსიტეტში. 16 ოქტომბერს, გამოცდების დასრულების შემდეგ დაიწყება უნივერსიტეტში ლექციების კითხვა.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### რატომ იმაზე მეტი არ იზრდება ადამიანი, რაც გაზრდილა.

რომ უპასუხოთ ამ კითხვას, საჭიროა ჯერ ვიცოდეთ, რად იზრდება ადამიანი? ცხადია ადამიანები იზრდებიან იმისთვის, რომ იკვებებიან. საკვები, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ჩვენი სიცოცხლის დასაწყისიდან, ემსახურება ორ მიზანს. მისი ერთი ნაწილი ავსებს ორგანიზმის მიერ დაკარგულ ენერგიას, რომელიც გამოწვეულია ბავშვის ფიზიკური და სულიერი ძალებით (ყვირილი, რბენა, თამაში, სწავლა და კუნთების მუშაობა). დანარჩენი კი ხმარდება სხეულის ზრდას. მაშასადამე, ზრდა დამოკიდებული ყოფილა მიღებულ საკვების რაოდენობაზე.

აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოყვანა ზოგიერთის აზრით. ზრდადათავებულმა რომ კარგად სჭამოს, ის კიდევ უნდა იქამდეს იზრდებოდეს. მაგრამ ეს ასე არ არის.

მარტო, რაოდენობა ვერ თამაშობს გადამწყვეტ როლს, საქმე საკვების ღირსებაშიდაც არის, რომელიც მონელების შემდეგ გადის ადამიანის ნაწლევის კედლებში და უერთდება სისხლს. რაც უფრო დიდია ნაწლევის კედლების ზედაპირი, მით უფრო ბევრი მასალა გადის სისხლში.

მეორე მხრივ: რაც უფრო იზრდება ადამიანი, მით უფრო იზრდება მის მიერ დახარჯული ენერგიის რაოდენობა.

ზევით ნათქვამის მიხედვით ჩვენთვის ეხლა გასაგებია, რომ სხეულის მოცულობა და დახარჯულ ენერგიის რაოდენობა უფრო ჩქარა იზრდება, ვინემ სხეულის ზედაპირი. ამასთან ერთად მცირდება დაკარგულ ენერგიის ანაზღაურების შესაძლებლობაც. თუ ადამიანი სამჯერ უფრო გაზრდილა მისი ბავშვობის მდგომარეობასთან შედარებით, მაშინ მისი ნაწლევის ზედაპირი 9 ჯერ უფრო გადიდდება, მაგრამ სამაგიეროდ სხეულის საერთო მოცულობა გაიზარდება 27 ჯერ. მაშასადამე უნდა დადგეს ისეთი მომენტი, როდესაც ნაწლევის მიერ მიღებული საკვები თუ ეყოფა სხეულის მიერ დახარჯულ ენერგიის ანაზღაურებას და სხეულის ზრდისათვის საჭირო მასალა აღარ რჩება.

ეს მომენტი სწორედ მაშინ დგება, როდესაც ადამიანის ორგანიზმი შეაჩერებს ზრდას.

მართალია მარტო აქ მოყვანილი მაგალითით არ აიხსნება სხეულის ზრდის შეჩერება. სხვა მომენტებიც თამაშობენ აქ როლს, როგორც არის, სამუშაო, ჰავა, საჭმელის შემადგენლობა და სხვა, მაგრამ ნაწლევის შიგა ზედაპირის შეფარდება სხეულის საერთო მოცულობასთან—მთავარია.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. მ. ოდიშარიას (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილი „ვასოს სიზმარი“ არ დაიბეჭდება.

ამხ. შუტუს თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ამხ. ბიბილაშვილს (ცხენ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია არ გამოდგა.

ამხ. ძიროვნელს (1-ლი საარტილერიო) წერილი შვებულთა მიმართ არ გავა.

ამხ. აკოპოვს (1-ლი ლეგიონი) კოლუაშვილის საპასუხოთ თქვენი წერილი არ გავა.

ამხ. სურამელასპირელს (2-რე არტლეგ) კორესპონდენცია „ესეც მნიშვნელოვანი საკითხია“ არ დაიბეჭდება. ამაზე იყო ჩვენს გაზეთში.

ამხ. მიელს თქვენი ლექსი „შორს სიბნელე და ახლოს სინათლე“ არ გამოდგა.

**დაკარგულია** რაჭის მაზრის სამხედრო მაგიდების მიერ გაცემული საალრიცხვო საბუთები, (პირადი წიგნაკები ფორმ. № 4) შემდეგ 1902 წელში დაბადებულ პირებზე: 1) გუგეშაშვილი ტრიფონ № 5, 2) აბესალოშვილი დომენტი № 45, 3) ბერელიძე გრიგოლი № 3. 4) ჩარკვიანი პარმენ № 8. მაცაბერიძე მიხეილ დიანოზის ძე № 1 6) ხიდეშელი ვარდენ № 9, 7) გობეჯიშვილი ალექსანდრე № 38 8) კერესელიძე სერგო იოსების ძე № 49. 9) მაისურაძე იასონ № 61. 10) რთველაძე ილია № 1, 11) ბაკურაძე ვასილ № 54, 12) ბაკურაძე ესტატე № 51, 13) გობეჯიშვილი ლუკა № 37, 14) ჩიკვილაძე ანთიმოზ № 555, 15) ჯაფარიძე ვლადიმერ № 26. 16) ბურდილაძე აკაკი № 33. 17) ლობჯანიძე არქიფო № 55. 18) ჩიკვილაძე გერონტი № 52. და 19) კობახიძე მინა № 56. რაც ჩაითვალოს გაუქმებულად.

რაჭის მაზრის სამხედრო კომისარი თავდომაძე.

**დაკარგე** პარტიული ბილეთი №488780 გიორგი ალექსანდრესძე კოზმოვის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.